ISSN 0132-6015

ნიანგი

16

აგვისტო
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. გ. აბაზიძისა

სატირულ-ირონიული ლირიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმობის ეშხით

დავარიგეთ საქართველო ნაფლეთ-ნაფლეთ!..
ძმობის ეშხით დავიშაქრეთ, დავითაფლეთ!..
შენ წყაროს სვამ, მე ამღვრეულს მასმევ რუსა,
თან მაშინებ: «В Центре с вами разберутся!»
ოღონდ რამე არ დაგვბრალდეს, — ძმობის ეშხით
ხელგაშლილებს, — არაფერი გვრჩება ხელში!..
მგლების ხროვა დახვევია მთის ლაღ ირემს
და ხორცს აგლეჯს ჯერ კვლავ მფეთქავ ნანადირევს!..
საქართველოს არვინ გვაძლევს, არც ვინ გვართმევს,
საქართველო არ ეკუთვნის რადგან ქართველს!
საქართველო ყველასია, უცხოურია,
თუმცა ოდესღაც აქ „ბევრ“ ქართველს უცხოვრია!..
ჩემს ბუდეში რომ მიჩეკავს თავის მართვეს,
მე თუ ძმა ვარ, ჩემს ძმასაც ხომ ძმობა მართებს?!

რომან მიმინოშვილი

ყვავი და ჩიტი

იგავი

ოდეს დამეგობრდნენ ყვავი და ჩიტი,
ველარ მოიკიდა იმ ჩიტმა ფიტი!..

ჩიტი აგროვებდა თავისთვის სარჩოს,
გულღიად ხვდებოდა ნამსვლელს და დამრჩომს!..

ყვავს სადღაც გაპქონდა ის საბადებელი
და ჩიტი სარჩოსი კვლავ იყო მძებნელი!..

მაღლით დასჩხაოდა ყვანჩალა თავზე: —
მე შენი ძმა ვარო, სიკეთით სავსე!..

ერთხელ ბარტყები მოსტაცა ყვანჩალამ,
მაგრამ აპატია ჩიტმა და აცალა!..

როცა მეგობრობა განახლდა ძველი,
ყვავს ენატრებოდა ნაჭერიც ყველის!..

და ისევ ქურდულად (ეს გულში უდევს)
ყვავი ანიოკებს იმ ჩიტის ბუდეს!..

უყლიტა ბარტყები ნისკარტის დარტყმებით
და თვით დედაჩიტსაც ჩაასო კლანჭები!..

კვლავაც თვალთმაქცური ფანდი — დანანება! —
ჩიტს მაინც იმ ყვავმა თავი არ ანება!
ვაი ამ „მეგობარს“, თავხედს და თავნებას!

სტეფანე მხარგრძელი

ხევსურული კაფია უმადურ სტუმარზე

მოსულს არ გკითხე, ვინ იყავ, ჩემთვის მთავარი ისაა, —
მაქვს მამა-პაპის ადათი: მწამდეს, სტუმარი ღვთისაა!..

მოხველ, დაგიხვდი, გაგიღე გულის და სახლის კარები,
მას მერე შამამისახლდი, შინ ნასვლას არ ეჩქარები!..

რად გინდა ჩემგან სწავლება, ბატონო, ეს ხომ ესეა:
სტუმარი მოვა და ნავა, — სტუმრის შინ ნასვლა ნესია!

მიკვირს, რომ გამიდიდგულდი, და თანაც გამითამამდი,
ჩემს სახლში სუფრას თამადობ (მე შემყურე ვარ თამადის!..).

ზემოდან ბღვერაც დაგჩემდა, სულ რასღაც „მირჩევ“, „მასწავლი“,
თან ბატონივით სეირნობ, კაცი, მოსული წანწალით!..

საიდან მოხველ, არც გახსოვს, სტუმარს ვერც გაგდებ ძალითა!..
შენს მასპინძლობას გადავყევ, კაცი ავივსე ვალითა!..

შენ მოლხენილი გაპკივი, მე მოწყენილ ვარ, მდუმარი!..
ველარც კი ვიგნებ ჩემს სახლში, შენ ხარ თუ მე ვარ სტუმარი?!..

არც მაცლი, — გამიმბრძანებლდი, ლამისა მთლად ამივანცა!
ეგრე ჩანს, შენ უნდა გკითხო, რომელ დღეს დავწევ დიაცთან,

ან ჯორა სად გამოვაბა, კალოს პირას თუ თავლაში,
ან ქარი არ გამეპაროს აღმართ ბილიკზე ავლაში!..

ვატარო თუ არ ვატარო პაპის ნაქონი ხანჯარი,
ქამარი სად მოვიჭირო, სად მოვიმფონო ხვანჯარი!..

...შინ ჩასახლება სტუმრისა დამილოცნია სხვისადა,
ვინც ეგეთ სტუმარს მაითმენს, ძაღლ იყოს იმის მკვდრისადა!..

ზოთა არაბული
(უაზბეგი)

სტუმარია, ბატონო!..

კარს გავუღებთ ხელგაშლილთ, გულს ვუჩვენებთ სუფთას,
ტკბილად ვეტყვით: „მობრძანდით!“ მერმე ვუშლით სუფრას!..
ვხარობთ მისი სტუმრობით პატარა თუ დიდი!..
გვაქვს მისდამი თაყვანი, მოკრძალება, რიდი!..
მაგრამ უცებ თვრება და ლამის ყველა დაგვტოროს!..
გვანყნარებენ: „რა ვუყოთ, სტუმარია, ბატონო!“
ფიანდაზად ეგები, ვითომ ძმაა შენი,
და დაგნიხლავს, თუ არ დაუბრუნებ ხურდას,
მაგრამ შენ თავს იკავებ, როგორც ქართველს შვენის:
„სტუმარია, ბატონო, აპატიო უნდა!..“
ვითომ სტუმრად მოვიდა კაცი ვინმე სხვა ჯიშის,
ქართულს ძლივს ლაპარაკობს ენის ბორძიკ-ვარჯიშით,
დასახლდება ჩვენთან და გაინ-გამოინევა,
გეტყვის: „შენი ძმა ვარო“, ხანაც გეტყვის: „სიძე ვარ!“
მერე ვხედავთ, ეს კაცი ქართულ მიწას პატრონობს,
გვაჩუმებენ: „რა ვუყოთ, სტუმარია, ბატონო!“
ვინაც სტუმრად მოვიდა, ვისაც დავხვდით კაცურად,
ზოგი აღარ წავიდა, ზოგმა ლაფში გვაცურა,
ზოგმა თავი გვაჩვენა, ვითომ მართლა გვრიტია,
მერე გელანძღა, გვაგინა, აქეთ შემოგვიტია!..
პოდა, ყველა მოსული ჩვენთან რომ არ დავტოვოთ,
გავაცილოთ დროულად: „სტუმარია, ბატონო!“

იყიდება საქართველო!..

ვინც მოსულხართ ჩვენთან სტუმრად, ტურისტად თუ გიდად,
საქართველოს ყიდულობთ და ჰყიდით, როგორც გინდათ!
იყიდება საქართველო მიწით, წყლით და ენით
და აქამდე არვინ იყო მისი გადამრჩენი!..
იყიდება საქართველო აშკარად და ჩუმად
მილიონად, ხუთ მანეთად, შაურად და თუმნად!..
იყიდება ჰურით, ღვინით და მქუხარე ტაშით,
ოვაციით, სიმღერებით, საზეიმო მარშით!..
იყიდება ბაღით, ბოსტნით, კურორტით და ბაზრით!..
(გინდ წერე და გინდ იყვირე, — აღარა აქვს აზრი!).
იყიდება მთაში, ბარში, გამოღმა და გაღმა!..
ყიდის ქურდი, ფლიდი, ქლესა, მექრთამე და კახპა!..
იყიდება დალოცვილი მხარე ერთი ციდა,
ილანძღება ნინაპართა საფლავები წმინდა!..
იტაცებენ საქართველოს შიგნითა და გარეთ!..
გულმშვიდად და არხეინად ყველას ეუღებთ კარებს!..
და ამ ყიდვა-გაყიდვაში ისქელებენ კისერს!..
ძაღლი პატრონს ველარა სცნობს, ავირიეთ ისე!..

მოვუაროთ ჩვენს მთას, ჩვენს ბარს, ზღვას, ტყესა და მინდორს,
რომ დღეიდან საქართველო აღარ გაიყიდოს!

ვანო ცინცაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაი-მომჭირნეები

ფელეტონი

სანამ ჩვენში სიტყვა **ეკონომიკა** შემოვიდოდა, გაგვაჩნდა მისი შესატყვისი **მომჭირნეობა** და თუ მას გონივრულად მოიხმარდნენ, სასურველ შედეგსაც აღწევდნენ. ეს, ასე ვთქვათ, აქსიომაა და მტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ ზოგ შემთხვევაში **ეკონომიურობაც** და **მომჭირნეობაც** წამგებიანი რომ ხდება უნიათო ხელმძღვანელის ხელში, ამის აღმოჩენას ცოცხალი თავით არავის დავუთმობთ! შემოგვედავებიან, ასეთი რა ხვითო-თილისმა აღმოგიჩენიათო, განსაკუთრებით **საქნავთობმაგისტრალის ქუთაისის უბნის მესვეურნი** ატეხენ ხმაურს, თუმცა, სანამ მათ ვუპასუხებდეთ, შევეცდებით თვით ვაი-მომჭირნეობის კონკრეტული ფაქტი გავანალიზოთ. პრეტენზიული ოპონენტის დასაშოშმინებლად უმჯობესია დავიწყოთ თავიდან:

გასული წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ბაზაზე კავშირის მასშტაბით წარმოება-დანესებულებებში შემცირებულიყო კადრები და გამოთავისუფლებული მოქალაქენი დაესაქმებინათ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

რაკი ამოცანა საქვეყნო იყო, ბუნებრივია, იგი შეეხო **საქნავთობმაგისტრალის ქუთაისის უბანსაც.**

აქ მკითხველის ნებართვით გავაკეთებ მცირე ლირიკულ გადახვევას, ანუ ექსკურსს ახლო წარსულში.

1932 წლიდან, რაც მწყობრში ჩადგა ბაქო-ბათუმის ნავთობმაგისტრალი, ერთ-ერთი ცენტრალური ნავთობსადენი სადგური ამუშავდა სოფელ ქვიანში (ლანჩხუთის რაიონი), რომელიც იმთავითვე დაკომპლექტდა სპეციალურად მომზადებული მაღალკვალიფიცირებული კადრებით. წლების განმავლობაში სადგურში შეიქმნა მაღალი შრომითი ტრადიციების მქონე კოლექტივი. ბოლო ათწლეულში, სხვადასხვა (რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, არ შევცდები თუ ვიტყვი, ექსპერიმენტების მონყობის მანიაკური გამოდევნების შედეგად, სადგურმა ნელ-ნელა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მისი ფუნქციები, იგი თანდათანობით მიითვისა ქუთაისში ახალჩამოყალიბებულმა უბანმა.

აღმოსავლური ანდაზაა: „თუ მთა არ მივა მუჰამედთან, მუჰამედი მივა მთასთან“. რაკი მათი შეხვედრა აუცილებელია, მუჰამედის საქციელი სწორია. მაგრამ **ქუთაისში ახალშექმნილი უბნის ხელმძღვანელები ასე როდი მოიქცნენ, მათ მაინცდამაინც მთა მიიყვანეს თავისთან: დააგდეს უპატრონოდ ქვიანის სადგურის საამქროები, ასობით ტონა ტევადობის სათადარიგო რეზერვუარები, საცხოვრებელი ბინები, ადმინისტრაციული შენობები, შეიყუჟნენ საველე ვაგონებში ქუთაისის ლუდის ქარხნის ახლომდებარე ტერიტორიაზე, გამართეს სატელეფონო ხაზი და იწყეს დისტანციური მართვა.**

ქუთაისის საქალაქო საბჭომ დროულად შენიშნა უადგილო ადგილზე შექმნილი უბანი და, მოკრძალებით რომ ვთქვათ, **გააძევა ქალაქის ტერიტორიიდან. ამრიგად, უბნის შტაბი სოფელ პატრიკეთში დაბინავდა და იქიდან დაიწყო სადგურის მართვა.**

აი, სწორედ ამ დროს დაემთხვა ზემოაღნიშნული საქვეყნო ღონისძიების გატარება. უბნის ხელმძღვანელობაც არ დაფიქრებულა და ერთი ხელის დაკვრით მოაშთო ორმოცკაციანი კოლექტივი, განახორციელა რა თითქმის ასპროცენტიანი შემცირება, წერტილი დაუსვა დიდი შრომითი ტრადიციების მქონე, ტექნიკურად აღჭურვილი სადგურის არსებობას.

მერედა, რა მოხდაო, იტყვიან, რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება უბანი — პატრიკეთში თუ ქვიანშიო? ერთი შეხედვით, მართლაც არავითარი მნიშვნელობა ამას არა აქვს, რაკი უბნის ხელმძღვანელობას თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს ურჩევნია უბანი იყოს. მათი ნებაა, მაგრამ საველე ვაგონებში ყოფნა რომ მობეზრდათ და ახალი ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობას რომ აპირებენ, რაც ასობით ათასი მანეთი დაუჯდება საქნავთობმაგისტრალს და თვითდაფინანსებაზე გადამავალ რესპუბლიკას, ვითომ მიზანშეწონილია ასეთ პირობებში გამართული ობიექტის მიტოვება და ახლის ასაშენებლად ახალი ხარჯები?

შესაძლოა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვიღაც-ვიღაცებს აძლევდეს ხელს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — საერთო საქმეს და ჩვენს სახალხო მეურნეობას!

დავით ასკურავა

ქართულ მიწასთან ქარელშიც მიქარავენ!..

ქარელის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები გადამჭრელ ღონისძიებებს ატარებენ მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონმდებლობის დასაცავად, მაგრამ მაინც რჩებიან მავანნი და მავანნი, ვისაც თავის ნებაზე გაუწევია კერძომესაკუთრული ღობე და სამანი!..

სოფელ რუისში წლების მანძილზე კინკლაობენ ძმები გარეგინ და ვალიკო ბალიაშვილები, ჰყოფენ და ვერ გაუყვიათ საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთი!..

რომ ჩხუბობთ, ვის ქონებაზე ჩხუბობთო?! — ხმა აიმაღლა კანონმა და მიტაცებული 0,23 ჰა მიწის ნაკვეთი მოდავეებს ჩამოართვა და რუისის საბჭოთა მეურნეობას დაუბრუნა!

მეურნეობის ხელმძღვანელებმა მაშინვე დაწერეს ბრძანება მიწის ნაკვეთის ათვისებაზე და ნაკვეთი ბრიგადაზე მიამაგრეს, მაგრამ იქვე შეიცოდეს ძმები, ეს რომ წავართვათ, რიღათი გაერთობიანო და ისევ მათ დაუტოვეს საკინკლაოდ!..

ჰოდა, ისინიც კინკლაობენ!..

სოფელ ცერონისში მცხოვრებ ფალავანდიშვილ ადამს ბოლო წლებში გაეხსნა მადა — **უკანონოდ მიიტაცა თავისი დების — ივლია და თამარ ფალავანდიშვილების 0,03 ჰა მიწის ნაკვეთი და 0,15 ჰა ნაფუძარი. ამაოდ ედავებიან მას ავლევის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და მეურნეობის დირექცია და ვერც სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა შველის საქმეს!..**

ადამს კვლავაც დიდი აქვს მადა!

ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსის აგრონომს უშანგი ნიკოლოზის ძე ელბაქიძეს 0,40 ჰა მიწის ნაკვეთი ცალკე აქვს, ცალკე კიდევ — 0,20 ჰა, სადაც საცხოვრებელი სახლიც ჩაუდგამს.

განა როგორ მოახერხა ეს?

სადღაც აქ ძაღლის თავი უნდა ემარხოს, ხომ მართალია?

დიახ, 1979 წელს, როცა 0,40 ჰექტარის მფლობელი უშანგი ხვედურეთის კოლმეურნეობის აგრონომად მუშაობდა და თავის სეხნიასთან, ამავე კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარესთან უშანგი ხანიშვილთან ძმაკაცობდა, მაშინ აიღო სამოსახლოდ ეს ნაკვეთი, ოღონდ მაშინ ქაღალდებში 0,07 ჰა ეწერა, ღობე-სამანმა მერე გადაინ-გადმოინია და 0,20 ჰა გახდა!..

ფცის საბჭოთა მეურნეობაში გასულ წელს 0,15 ჰა სახნავი მიწა მიითვისა ბრიგადირმა ვაჟა კონსტანტინეს ძე ჩიმჩიურმა. მეურნეობის დირექციის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად მიწის ნაკვეთი დაბრუნებულ იქნა. ხოლო ბრიგადირისა და მეურნეობის მთავარი აგრონომის მიხეილ შავერდაშვილის მიმართ „გატარებულ იქნა ადმინისტრაციული ზომები“.

თურმე ყოფილი მთავარი აგრონომი თვითონაც სცოდავდა და სხვასაც იმიტომ შეუწყო ხელი. გადავიდეთ ოქმის ენაზე:

„აღმასკომის გასული წლის 21 აპრილის სხდომაზე განხილულია საკითხი „ფცის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის წესების დაცვის შესახებ“, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა მეურნეობის ყოფილი მთავარი აგრონომი მიხეილ შავერდაშვილი. იმავე წლის პირველი აგვისტოს სხდომაზე კი სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სწორედ მ. შავერდაშვილის შესახებ იმსჯელა, როგორც მიწათსარგებლობის კანონის დამრღვევზე და საბჭოთა მეურნეობის მიწის ფართობის მიტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა“.

აი, ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!..

ფცის სასოფლო საბჭოში შემავალი 601 კომლიდან სოფელთან კავშირგანყვეტილ 38 კომლს ხელი არ უკანკალებს, უკანონოდ ისე უკავია 8 ჰექტარი მიწა, ხოლო კავშირგაუწყვეტელ და სინდისგაუწყვეტელ 174 კომლს, სინდისი სულაც არ აწუხებს, ისე უკავია ზედმეტად 44,88 ჰექტარი საზოგადო მიწა, აქედან სოფელ ფცის მიწატაციებზე 18,72 ჰექტარი მოდის, თამარაშენელებზე — 6,25 ჰექტარი, ქვემო შაქშათელებზე — 7,71, ღოლეთელებზე — 12,20 ჰექტარი.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი და საბჭოთა მეურნეობის დირექცია ამ თავნება კომლების მიმართ როცა სათანადო ზომებს მიმართავენ, ისინი მიტაცებულ ნაკვეთებს ახლებურად ზომავენ, ზოგი მკლავის გაშლის ზომით იმუქრება, ზოგი კუნთების დაბურცვის სიდიდით, ზოგი გაზომვასაც არ კადრულობს — საშინლად იზმორება და სამართალდამცავებიც საკუთარ ტყავსლა იცავენ!..

მიწატაციებზე შეტევა კვლავაც გრძელდება!..

მიწის უძლები მჭამლები

ბელტისყლაპიები, მიწის უძღები მჭამლები თურმე მხოლოდ ზღაპრებში კი არა, სინამდვილეშიც არსებობენ. თუ არ გჯერათ, მიბრძანდით **ქარელის რაიონში** და საკუთარი თვალით ნახეთ!

გარეგნულად, ერთი შეხედვით, შეიძლება თვალში არც მოგივიდეთ, არც გოლიათი გახლავთ და არც ბუმბერაზი, ერთი ჩვეულებრივი ქარხანაა, სახელიც უწყინარი და უვნებელი აქვს — **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს აგარის ინერტული მასალების ქარხანა.**

„ინერტულიო“ რომ წაიკითხავთ, უთუოდ დამშვიდდებით, რადგან **ინერტული** ხომ **უმოქმედოს, უინიციატივოს** სინონიმია!

დამშვიდდებით და სწორედ აქ მოტყუვდებით! — აუცილებლად უნდა ნახოთ ამ უწყინარის მიერ გამოხრული 124 ჰექტარი მიწა, რაც თავიდანვე მოხისისა და ქვენატკოცის საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნოდა!..

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის ივლისის № 481 დადგენილებით აგარის ინერტული მასალების ქარხნისათვის გამოყოფილ იქნა 58 ჰა, ოღონდ მთლად შესაჭმელად კი არა, არამედ ხრეშის მოსაპოვებლად, რაც გულისხმობდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-შენახვას, ხრეშის ამოღების დამთავრების შემდეგ კი რეკულტივაციის სამუშაოების ჩატარებას — ნიადაგის აღდგენას, რაშიც შესაშურ ინერტულობას იჩენს ინერტული მასალების აგარის ქარხნის დირექცია! იგი არაერთხელ იყო გაფრთხილებული ქარელის აგრომრეწვისა და ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის მიერ, რათა შეეჩერებინა სამუშაოები მიწის ფართობის კანონიერ გამოყოფამდე, მაგრამ ამაოდ!..

საზოგადო მიწის დაუსჯელი ჭამა-ყლაპვის სამუშაოები გრძელდება!..

აგარის ინერტული მასალების ქარხნის ბელტიყლაპიაობას და მიწაჭამიაობას მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, ესენი არიან **ქარელის კირისა და აგურის ქარხნები. მათ გულმოდგინედ დახრეს 19,86 ჰექტარი მიწის ფართობი, საიდანაც 10 ჰექტარი მიწა კირის ქარხნის მიერ ისეა დაზიანებული, რომ მისი რეკულტივაცია შეუძლებელია!..**

სახალხო დეპუტატების ქარელის რაიონული საბჭოს აღმასკომმა სათანადო დადგენილებით აუკრძალა მიწის თვითნებური დამუშავება მადააღძრულ ბელტიყლაპიებს, მაგრამ ნათქვამია, დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, თუ დააჩვევ, ნუ მოაკლებო!

მიწის უძღები მჭამლები კვლავაც ითხოვენ სახრავად საზოგადო მიწას, სახელები კი ერთობ უწყინარი აქვთ!

რა ფასად ჯდება ფასადი?!

ქარელი რომ ქალაქია, ამით ქარელელებს ოდნავადაც არ გაუქარვდებათ დარდი, რადგან ზოგ იქაურ მკვიდრს საკარმიდამოზეც მონდომებია ნავარდი — მეზობლის მიჯნაზე მიძალება-მიწევა, კედლების მაღლა-მაღლა აწევა და პროექტის დარღვევით დიდ-დიდი სასახლეების წამოჭიმვა!..

სულაც არ დაგიდევენ, რომ მათი სასახლეები და ეზოები ქალაქის საერთო ფასადს ამახინჯებს, მის არქიტექტურულ იერსახეს აგონჯებს!..

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ იქნა და ვერ ალაგმეს ცალკეულ მოქალაქეთა სიხარბე, მიწისა და ცის პყრობის ჟინი, სხვათა შევიწროებისა და დაჩრდილვის სურვილი, რაც მეზობელ-მომიჯნავეთა ურთიერთობების გამწვავებას, გაუთავებელ შეხლა-შემოხლას და ზოგჯერ დაუძინებელ მტრობას ბადებს!..

გაგაცნობთ გიგანტომანიით შეპყრობილ გონჯი სასახლეების მეპატრონეებს:

ფიროსმანის ქუჩაზე მცხოვრებმა გიორგი შირიმიანმა საცხოვრებელი სახლი პროექტის უხეში დარღვევით ააშენა. ამ სასახლის საერთო ფართობმა 259 კვ. მეტრს გადააჭარბა!..

ამ უზარმაზარ ლაბირინთში სულ იოლად შეიძლება ერთმანეთი დაკარგონ და ვეღარ იპოვონ გ. შირიმიანის ოჯახის წევრებმა!..

ასეთივე საშიშროება ელით ქვემოთ ჩამოთვლილი გონჯი სასახლეების ბინადართ:

კოლია მარლიშვილის ოჯახის წევრებს უპროექტოდ აგებულ სახლში, რომლის ფართობი 211 კვ. მეტრია!

ასევე პროექტის გარეშე აქვთ აგებული სახლებ-ლაბირინთები **ზურაბ სარიოღლის, მახრამ ახმედოვს, შოილათ სარიოღლის, გულია სოინოღლის, გიორგი გოგიჩაშვილს, ლენტო ფილიშვილს, მიხეილ მარლიშვილს, ვალიკო კაბულაშვილს, ტანია მარლიშვილს!** .

პროექტის დარღვევით აიშენეს ბინები: **ლენინის ქუჩაზე — ავთანდილ ქობესაშვილმა, მახარაძის ქუჩაზე — მაყვალა ელბაქიძემ, მარქსის ქუჩაზე — მიხეილ ბაბაზოვმა!**

ენგელსის ქუჩაზე მცხოვრებ გოგიჩა ხუციშვილის მიერ ბინათმშენებლობის წესის დარღვევამ განაპირობა მის მოსაზღვრედ მცხოვრებ ბაბულია ნადირაშვილთან მწვავე კონფლიქტი!..

დემოკრატია და საჯაროობა ანარქიას, სიხარბეში გაჯიბრებას როდი გულისხმობს! კანონს, მართლწესრიგს კვლავაც არ დაუკარგავს ძალა და ამ ძალას სულ იოლად შეუძლია შეაკვეცოს ფრთები აფოფრილ სიხარბეს!

ეს დამრღვევებსაც კარგად უნდა ახსოვდეთ და სამართალდამცავ ორგანოებსაც, ვისაც ქვაც ხელში უჭირავს და კაკალიც, რათა სამართალს პური აჭამოს!

ელგუჯა მერაბიშვილი,
ივანე ოსეფაიშვილი,
„ნიანგის“ სპეციკორესპონდენტები.

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთი თხა ჰყავდა ბებიას...“

ი ე ვ ი ო რ ე ს ა ა

...და გამოსცა მან, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, დეკრეტი: **აიკრძალოს სოფელში თხის ყოლა, მოისპოს თხა, როგორც ტყის კლაბირივი მტერი!**

„ვ ი ო ნ ! ! !“ — გაისმა სოფელში თხის კიკინი, — რა უნდათ ჩემთან?! როდის მოვსპე ტყე?! როდის იყო, ხელში ცული ან ხერხი „დრუბა“ მეჭირა?!

მაგრამ განკარგულება გაცემული იყო და იგი შესრულდა. ყველა მოსპობილ მოსპო თხა. ყველამ, გარდა ერთი კაცისა.

მიეფიდა თავმჯდომარე და იმ კაცს თავს რისხვა დაატეხა: — როგორ გაბედე! ნინადადგების გაძლევ, ორი დღის ვადაში ლიკვიდაცია უყო, შენს ეზოში თხის ჭაჭანება არ იყოსო!

— ვერა, ვერ ვიხამ მაგასო! — გაუბედა კაცმან მან.

— რას მიქვია, ვერ! — იყვირა მან, თავკაცმა.

— რა ვქნა, დანდებეთით სკოლის მასწავლებელი ვარო, — თავი იმარჯოა კაცმა.

— მერე, რა შუაშია მასწავლებლობა?! — უფრო გაცხარდა თავკაცი იგი.

— მოგახსენებთ, ჩემი ბატონო, თუ რა შუაშია, — წყნარად უთხრა მასწავლებელმა, — თხის მოსპობას რა უნდა, მაგრამ „დედოვანაში“ რომ წერია: **თ-ხ-ა, ა თ ხ ა**, მერე ლექსი — **„თხამ ვენახი შეჭამა“**, მეორე ლექსი — **„ერთი თხა ჰყავდა ბებიას, კოხტა, ცელქი და ნაცარა...“**, აი ამაი რომ ავხსნი გაკვეთილზე, ხომ შეიძლება მონაფემ მკითხოს: „პატივცემულო მასწავლებელო, აგიხსენით, რა არის თხა, როგორია იგი?“ მაშინ რა ვქნა, რა ვუჩვენო? — პეიზაჟ მასწავლებელმან.

— ასეთი მაგნე ლექსები ამოიღებულ უნდა იქნეს ნიგნიდან! — მტკიცედ მოსცა პასუხი თავკაცმან.

— ჰქენონ სიკეთე და მოსნერეთ სამინისტროს, თქვენი ავბარიტტეხი დაგვეხმარეთ! — გაუპირდა მასწავლებელი.

თავმჯდომარე ადგა და მოსნერა სამინისტროს, ისაო, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, რაგორ დაგიგოვებიათ სახელმძღვანელოში ასეთი ლექსები, რაგორ აქამდე არ ამოგიღიათო?

სამინისტროში ნაიკითხეს და გაოცდნენ, ასეთი რაგე ჯერ არ გაგვიგონია! ნაიკითხეს, იცინეს, წერილიც გადაგზავნეს და... მალე კაცი იგი ამოლეს... თავმჯდომარეობიდან!

ასე ისნინა გონიერმა მასწავლებელმა თხაც და სოფელიც.

ზ ო თ ა რ ო ქ ვ ა ვ ა

დაეკარგათ... სოფელი!..

ზ ე ლ ვ ა ტ ი ნ ი

რ ო ბ ერ ტ პ ა რ ა ფ ო ტ ს ა დ ც უნდა მოგეწერეთო, სოფელი ნამდვილად დაკარგათ! **დიახ, დაკარგა 300-კომლიანი, თამარის მეშტატიანის მიერ მოხსენიებული სოფელი ჩოლობაური.** რა-გორო?! — იკითხავთ. ჩვეულებრივ, მაგანია და მაგანთა ნაყრუებით, დაუდგენრობთა და მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებანთ!..

ამბის პრიზაული სურათი ამდაგვარია: **საფრავნო-ლანჩხუთიბათუმის საავტომობილო მაგისტრალის ასანგრეკ მეფაბარე ამ სოფლის ვერ დასანყისისა და ვერ დასარეკლის მიმნიშნებელ ნარნერს ნაანყდენთ!**

სოფლის მეზოგრებლებმა არაერთხელ მიმართეს **ფოთის საგზაო-სატაქსეფლეუტაციო უბნის მუსვეურო, რათა დაკეფლებინათ ნიშნები.** „ჩუს ნეპატრონები დუმილით პასუხობდნენ მოთხოვნას. **მიმდინარე ნლის ივნერიდან ეუნის პატრონი ლანჩხუთის საგზაო განყოფილება გამდა.** ჩოლობარეველს იმედი მიეცით — ეგერ, სახელი გაგვინყდა პატრონი და ანი როგორ დაგვიდგებენ გინეკითხავდო?! მაგრამ მოტატუდენენ: **ლანჩხუთის საგზაო განყოფილებაში ნერილაბ საკითხად მიიჩნევენ ამ მეფიმარეობას.** ჯერ ჯერობით ფეს ითრეკენ და ნოთირობენ, ამასობაში კი მოდიან რეკუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩოლობარეველთა სტუმრები, დაიძებენ უნანერო, მაგრამ ნამდვილად არსებული სოფელს, რომლის **„მკლავმოუღლელი მმრომელები ახალ-ახალი ნარმატებებით ამრავლებენ ხუთნლიანის სიუჟეტს...“** (ყოველ შემოხვევაში, ასე ნერდა ერთი ავტორი თავის ნარკვევში ამას წინათ), რაც იმის დასტურად უნდა მიეთქვიოთ, რომ სოფელი **ჩოლობარი და ჩოლობარველები** ქეშმარიტად არსებობენ და, **რაგორც ყოველი ჩვენთაგანი, იმედით შეპყურებენ მომავალს!**

დ. ჯ ა ლ ი ლ ი

„ქრონიკული ქრონიკა“

ციკლიდან: „ცრემლიანი ღიმილი“

ა ხ ა ლ ი რ ი თ მ ა

რა ეპიტეტებითია და რითმებით
არ ვამკობდით
პოეტები **ს ტ ა ლ ი ნ ი ს** სახელს! —

„დროზ ხარ, ცადაბანილი!..“,
„ქრისტალეფით...“,
„წყაროს თვალეფთ...“!..

ახალმა დრომ სხვა რითმა მოიტანა:
ს ტ ა ლ ი ნ ი — ა ლ ი ბ ი!

ახლა **ს ტ ა ლ ი ნ ი**
თვითეული ჩვენგანისთვის
მართლა **ალიბი** გახდა
იმ სამსჯავროში,
სადაც ჭეუფური
ბოროტმოქმედების —
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს
გაუპატიურებისა
და მკვლელობის საქმე ირჩევა!

ბ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს ს ა ზ ჯ რ უ ნ ა ვ ი

ვინ ფლობს უკეთ თავის საქმეს?
სამიედო ვინ არი?
ნ ა ბ ე ზ ა რ ი ს ნამუშევარს
რით სჯობია, ნეტავი,

ნ ა ბ ე ლ ხ ა ო ს ნაკლანავი
ან ის ნაკოდვლარი,
რასაც წერს და რასაც ამბობს
ნ ა ბ ი ტ ე ლ ბ ე ვ ნ ე ბ ი ნ?

მ ო ს კ ო ვ ი ი. 1988 წ.

ნუთუ ადარ შეხორცდება
ს ტ ა ლ ი ნ ბ ზ ნ ის იარა?
...ადერ ახლა **შ ე ხ ო ვ ე ვ ი ვ ა*** ქეჩაში ჯიარა!

რ ა ი ო ნ ე ბ ი ს ე ბ ი ს ო ვ ა ნ ი ს ა ხ ლ ე ბ ა ბ ე ლ ი

ვაშა იმ მშობელს, ვინც მამულს
კარგი უზარდა ბეჭილი
და ამქვეყნიდან წავიდა
სიკეთილთან **დ ა ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ნ!**

პ ი ი ი ი

მარტო **ბ ა ბ ი ნ ი ვ ნ ს**
როდი მოგეცა ვამჩენმა **პირი!**
პირი ბერძნეული საკრავი
ლირნის და ჯირის,

* შ ე ხ ო ვ ე ვ ა ვ ი — ოსი პერსონალური ბენნ-ობენერ. რომელიც **ს ტ ა ლ ი ნ ს** ლირიკას იცავს სამეოთის სასამართლოებში.

იგი გულისთქმის ორგანოა,
საყვარის მსგავსი,
რითიც ჩვენს მოყვასს
უნდა ჩვენი ვაუწყოთ ამბი,
გავაგებინოთ: რისთვის ვცხოვრობთ
და რატომ ვიღეწვინ,
რა გვასულდგმეულებს,
რისი რწმენით ვშრომობთ და
ვიბრძვით
და რად ვამაყობთ
ერთი ციდა ქართული მიწით!..

პ ი ი ი ი

ხელსაწყოა, **„ნ ა ვ ი ი ს ხ ო ც ი ი თ“**,
რითაც მშვენიერ ბანოვანებს
ბაგეზე კკოცნით,
რომ გაეუღვივოთ გულში ენების
მიმკრიალი ალი
და სანატრელი **დ ე დ ო ბ ი ს თ ვ ი ს**
განვაწყოთ ქალი —
ჩვენი მომავლის ბალავარი,
ფესვი და ძირი!..
მარტო **ბ ა ბ ი ნ ი ვ ნ ს**
როდი მოგეცა ვამჩენმა პ ი ი ი ი!

ნახ. ბ. ზ უ ბ ა ზ ვ ი ლ ი ს ა



ზ ე დ მ ე ტ ი წ ყ ა ლ ი

წ ყ ა ლ ი, წ ყ ა ლ ი!..
სად არ ამჩნევ მას!..
ფიცით ნვალებით (ძალიან ადრე მაკლიენენენ! ბინგანელ ...ბ, ან ფაფაკერო, ნყალი არ ოფის ეანგელ!..)
**ნ ე ბ ი ნ ა ნ ი ნ ა ნ ა ნ ა

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ჩემი პროექტი თავისი მასშტაბებითა და გაქანებით პასუხობს იმ ეპოქალურ ამოცანებსა და ტემპს, რომელიც ჩვენმა მთავრობამ მოახვია თავს სამშობლოს. პროექტი, როგორც ხედავთ (არქიტექტორმა შალითა შემოაცალა პროექტს), წარმოადგენს სამ ლომზე დაფუძნებულ მრგვალი ტიპის შენობას. ეს სამი ლომი, რომელთა სიმაღლეა 150 მეტრი, წარმოადგენს იმ სამი ცნების სიმბოლოს, რომელსაც ეფუძნება სამშობლო — თავისუფლება, ძმობა, ერთობა. ლომებს პირში უჭირავთ ბეტონის მრგვალი მოედანი, რომელსაც აქვს ჩუქურთმებიანი რიკულები და წარმოადგენს გადმოსახედ მოედანს. მოედნის შუაში აგებულია პარლამენტის მრგვალი შენობა. მთაზე ასვლა მოხდება ფუნიკულიორის ვაგონებით სამი მხრიდან. აქ ბუნებრივ მოედანსა და ხელოვნურ მოედანს შორის შეიქმნება კულტურის პარკი. ხელოვნურ მოედანზე ასასვლელი ესკალატორები დამონტაჟებული იქნა ლომებში. თითოეული ლომის კუდის ქვეშ აქვს დატანებული კარები... კარები, რომლითაც ადამიანი შევა ლომში. შემდეგ მას ესკალატორი აიყვანს ლომის ხახაში და იქიდან გამოვა საპარლამენტო მოედანზე. პარლამენტს ექნება ნოე პირველის თავის ფორმა — რაც პარალელს პოულობს იოანე ნათლისმცემლის მოჭრილ თავთან ფეშხუმზე. როგორც იოანემ შესნირა თავი ჭეშმარიტი რწმენის ქადაგებას, ისევე ნოე პირველმა მოიჭრა თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ოვაცია დარბაზში. აცრემლებული ნოე ეხვევა არქიტექტორს. ისმის შეძახილები: „ნოე პირველი ყველაფრის ღირსია“, ოპოზიცია აკვარიუმის კედელზე აკრავს წარწერას „დროშის ჩარჭობას სად აპირებთ?“

ნოე VII: კამათში კიდევ შვიდი დეპუტატია ჩაწერილი, ყველა ოპოზიციის წარმომადგენელია, მაგრამ ჩვენთან შემოვიდა ნერილი წინადადებით, შეწყდეს კამათი (ოპოზიცია ყვირის, მუშტებს იქნევს, აკრავს წარწერას — „მიეცით ჩვენს დეპუტატებს სიტყვა“). სიტყვას გაძლევთ, რომ სხვა სხდომაზე მოგცემთ სიტყვას, ახლა კი კენჭი ვუყაროთ — ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი? — ერთი, ორი, სამი... ას ცხრა კაცი (ყველა ჩვენი დეპუტატია), ვინ არის წინააღმდეგი? — ერთი, ორი, სამი... ოცდაერთი (მთელი ოპოზიცია), თავი არავის შეუკავებია.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲮᲛᲐ: მე მაქვს შეკითხვა ბატონ ნოე პირველთან.

ᲜᲝᲔ VII: რეგლამენტით გათვალისწინებულია 3 წუთი შეკითხვისა და განცხადებისათვის, ბრძანეთ!

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ: ბატონო ნოე, თქვენ რომ არ იქნებით, ვინ იქნება უფროსი?

ᲜᲝᲔ I: ჰო, უფროსი საჭიროა, ყველა საქმეს თავისი უფროსი უნდა ჰყავდეს, კაცო, მე ხომ ვარ თქვენი უფროსი, ხომ ვარ...

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ: რა თქმა უნდა, ბატონო ნოე, მაგრამ აი, თქვენ რომ არ იქნებით, მაშინ ვინ იქნება უფროსი-მეთქი?

ᲜᲝᲔ I: რატომ არ უნდა ვიყო, კაცო?! მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, რატომ არ უნდა ვიყო?!

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ: არა, აქ რო არ იქნებით?

ᲜᲝᲔ I: სად რო არ ვიქნები?

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 11, 12, 13, 14, 15)

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ: მთავრობის სახლიდან რომ სადმე მოგიწევთ გასვლა, ვთქვათ — ჩვენი პარტიის კონფერენციაზე!

ᲜᲝᲔ I: ჰო, კაცო, ეგ საქმე ეგრე იქნება, როცა მე მთავრობაში ვიქნები, არა? პარტიის თავმჯდომარე მთავრობაში გეყოლებათ, როცა მე პარტიაში ვიქნები, არა? მთავრობის თავმჯდომარე პარტიაში გეყოლებათ. გასაგებია?

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ: უცხოეთში რომ მოგიწიოთ წასვლა, მაშინ?

ᲜᲝᲔ I: ჰო, კაცო, მაშინ ყველა მინისტრი ერთნაირი, ერთნაირი უფლებით იქნება! გესმის შენა? ცოტა, აი, ნოე II-ს ექნება უპირატესობა, ქაღალდებს ის მოაწერს ხოლმე ხელს, არა, ნოე III უნდა მეთქვა, მაგრამ რადგან ვთქვი ნოე II, ასე იყოს, ახლა მთავრობის მეთაური სიტყვას ხო უკან არ წავიღებ. ისე ყველა თანაბარი ვართ! ეს არის, კაცო, დემოკრატია, გასაგებია?!

ᲜᲝᲔ VII: მეტი შეკითხვა აღარ არის და თავს უფლებას მივცემ, გადავიდე ჩვენი დღის წესრიგის ბოლო საკითხზე — დაჯილდოებაზე. აქ გვაქვს მთავრობის ბრძანების ტექსტი, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს (კითხულობს), ბრძანება № 1918. დაჯილდოვდეს ნოე პირველი ნოე პირველის სახელობის ორდენით ნოე პირველის სახელობის ორდენის გამოგონებისათვის“. ხელმოწერა: ნოე პირველი (ტაში). ვინ არის მომხრე, რომ დამტკიცდეს ბრძანების ტექსტი? 109 — ჩვენები, ვინ არის წინააღმდეგი? 21 — ოპოზიცია, მიღებულია!

ნოე VII დგება, მიდის და ნოე პირველს ჰკიდებს ახალ ორდენს. გაჭირვებით პოულობს მის მკერდზე ცარიელ ადგილს, ოპოზიცია გააკრავს მიწაზე ტრანსპარანტს — **„ᲖᲝᲒᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲓᲐᲰᲙᲘᲓᲔᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲜᲝᲔᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲬᲐᲞᲘᲠᲥᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ“**! — გვარდიელები მივარდებიან აკვარიუმს და წარწერის წაშლას გარედან ცდილობენ. გიორგი ადგება, სახეზე ხელებს აიფარებს და შებრუნდება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ

სცენაზე წარმოდგენილია პორტი. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე დგანან ნოე I, ნოე II, ნოე III, ნოე IV, ნოე V, ნოე VI, ნოე VII.

ᲜᲝᲔ I: რატომ ვართ აქ?

ᲜᲝᲔ VI: „ჯოზეფ შენირული“ უნდა შემოვიდეს!

ᲜᲝᲔ I: კი, კი გამახსენდა, გამახსენდა... ერთი ეს მითხარი (მიუბრუნდება ნოე II-ს), ვინ იყო ეს ჯოზეფი?

ᲜᲝᲔ II: ნოე მეექვსემ იცის!

ᲜᲝᲔ I: კაცო, რა ისეთი საიდუმლოა, მე რომ მიმალავთ?!

ᲜᲝᲔ II: ამ წუთას დავადგენ შენირულის ვინაობას (მიდის).

ᲜᲝᲔ I (მიმართავს ნოე III): თუ გახსოვს, რა ვკითხე წელან?

ᲜᲝᲔ III: რატომ ვართ აქო?

ᲜᲝᲔ I: რას არ იკითხავ კაცი, ისე ხუმრობის გარეშე, ამდენი ხალხი რაზე ვცდებით?

ᲜᲝᲔ III: კი მაგრამ, თქვენ თვითონ არ ბრძანეთ, ყველანი უკლებლივ უნდა იყოთ ამ მიტინგზეო?

ᲜᲝᲔ I: მიტინგი ვის საპატიოთ იმართება!

ᲜᲝᲔ III: როგორ, ნოე მეექვსემ არ გითხრათ?

ᲜᲝᲔ I: ახლა გამახსენდა, გამახსენდა, კრეისერი „განწირული“ მოდისო!

ᲜᲝᲔ VI (სამხედრო მინისტრი): ეგ რა თქვა, განწირულიო? სამხედრო საიდუმლოს შენახვაც არ იცის.

ᲜᲝᲔ IV: დროზე დავინყოთ მიტინგი, თორემ ბატონი ნოე I გადაიღალა...

ᲜᲝᲔ II (შემოდის აჩქარებული): ბატონო ნოე, ჯოზეფ შენირული იყო ემიგრანტი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებას შეენირა.

ᲜᲝᲔ I: როგორ?

ᲜᲝᲔ II: ჰაერში ისროდნენ და ერთ-ერთი აგდების დროს, იგი აღარ დაბრუნებულა!

ᲜᲝᲔ VI: ყველანი ტრიბუნაზე ავიდეთ, საცაა კრეისერი „ჯოზეფ შენირულიც“ შემოვა.

ტრიბუნაზე რიგრიგობით ადიან, არ ჩანს ფსევდონოეს ცოლი.

ᲜᲝᲔ I: მე არ შემიძლია მიტინგის გახსნა, სანამ არ გამოჩნდება ის.

ხალხში ატყდება ჩოჩქოლი.

ᲜᲝᲔ II: ვინ?

ᲜᲝᲔ I: აი, ის.

ᲜᲝᲔ II: ვინ ის?

ᲜᲝᲔ I: აი, ის.

ᲜᲝᲔ II: ვინ ის?

ᲜᲝᲔ I: იმის ცოლი!

ᲜᲝᲔ II: იმის ცოლი ვინ არის?

ᲜᲝᲔ I: აი, იმის ცოლი, აქ რომ უნდა იდგეს!

ᲜᲝᲔ II: ვისი ცოლი?

ᲜᲝᲔ I: გემის ცოლი! სად არის გემის ცოლი?

ნოე II: ამ კრეისერის, ბატონო ნოე?

ნოე I: აგაშენა ღმერთმა, აი იმ კრეისერის ცოლი სად არის!

ნოე II: ა�ა, მივხვდი, ჯოზეფ შენირულის ცოლი!

ნოე I: კი.

ნოე II: ამ წუთში (გასცა ბრძანება), **სასწრაფოდ ტრიბუნაზე — კრეისერის ცოლი, ბოდიში, ჯოზეფ შენირულის ცოლი!**

ამ დროს პორტის ნაპირზე გამოჩნდება ფსევდონოეს ცოლი, რომელსაც ავსტრალიის დროშის მაგვარი კაბა აცვია, მოაციელებს დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშე. ხალხი შეძახილით ხვდება, — მკვდარი ის არის, ვინც საერთოდ კვდება, შეწირული არ მომკვდარა, ის ცაშია!

ფსევდონოეს ცოლი ადის ტრიბუნაზე. სამხედრო მინისტრი, ნოე VI აჩუმებს ბრბოს.

ნოე VI: სიტყვა ეძლევა ჩვენს ბელადს ნოე I-ს!

ნოე I (ჩუმად): **ჩემი მხრივ სიტყვას ვუთმობ კრეისერის ცოლს.**

ნოე VI: ჯერ თქვენ წარმოსთქვით, ხალხი ასე თხოულობს!

ნოე I: ხალხის წინააღმდეგ არ ნავალ, მაშასადამე, ჩვენ დღეს ერთადერთ კრეისერს, ჩვენი ფლოტილიის მშვენებას ვაკუთვნებთ, ვაკუთვნებთ, ვაკუთვნებთ!..

ნოე II (ჩუმად — ყურში): **ჯოზეფ შენირულის...**

ნოე I: ვაკუთვნებთ ჯოზეფ შენირულის სახელს, თუმცა მე მას არ ვიცნობდი და არა მაქვს საერთოდ წაკითხული არც მისი ბიოგრაფია, რომ მოგახსენოთ, კერძოდ რა გმირობა მიუძღვის სამშობლოს წინაშე, მაგრამ ჩემი სეხნიები ამბობენ, რომ მას თვალსაჩინო გმირობა აქვს ჩადენილი. ამხანაგებო, საქმისთვის უფრო უკეთესი იქნება, თუ სიტყვას მივცემთ გმირის ქვრივს.

ფსევდონოეს ცოლი (თვალებს ცისკენ აღაპყრობს): **მე ახლა ვესაუბრები ჩემს ჯოზეფს. ჯოზეფ, ჩემო ცადასულო, გიფასდება ამაგი, ახლა მალე შენი სახელი იცურავებს ზღვებსა და ოკეანეებში. აბა, შენ იცი, გემადქცეულმაც ღირსეულად დაიცავი შენი სამშობლო!**

ამ დროს კრეისერი „ჯოზეფ შეწირული" აფეთქდება.

ნოე I: ვინ ააფეთქა?

ნოე II: ჩვენ ავაფეთქეთ!

ნოე I: რატომ? მისი შენახვა ძვირი გვიჯდებოდა?

ნოე III: ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკაა!

ნოე IV: ეს ჩვენთვის მძიმე დანაკლისია?

ნოე VII: ამბობენ, მარტო ფუტლიარილა იყო. დანარჩენი ფული ნოე VI-მ ბანქოში გაფლანგაო!

ნოე V: აბა, მე რომ მითხრეს, მაგ კრეისერის აფეთქებაში მტრებმა ნოე III-ეს ათი მილიონი მისცესო?!

ნოე VI: იქნება დივერსიაა?!

ნოე II: დივერსანტებმა უარი თქვეს კრეისერის აფეთქებაზე, საშიშიაო! ასე რომ, ამ საქმეს ჩვენი ძალებითაც წარმატებით გავართვით თავი!

ფსევდონოეს ცოლი: ხომ ვამბობდი, გთხოვდით, მისი სახელი თვითმფრინავს დავარქვათ-მეთქი (ტირის).

სურათი მეათე

სცენაზე წარმოდგენილია საცურაო აუზი, გავსებული ალისფერი წყლით. შიგ ჭყუმპალაობენ ნოე I, ნოე II, ნოე III, ნოე IV, ნოე V, ნოე VI, ნოე VII და სიცივიის ელჩი.

სიცივიის ელჩი: კარგია, რომ ცივ წყალში ბანაობთ!..

ნოე II: ალბათ მიხვდებით, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ჩვენმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ თქვენთან წარმატებით ჩაიაროს!

სიცივიის ელჩი: ვალდემარლიჩმა განსაკუთრებულად დამავალა, რათა მეზრუნა თქვენს ჯანმრთელობაზე, თქვენ მხნედ უნდა იყოთ, რომ სათავეში ნაციონალ-რევოლუციონერები არ მოექცნენ, ისინი უმალ ჩაშლიან მსოფლიო სოციალური რევოლუციის საქმეს.

ნოე I: ვალდემარლიჩის წინგახედული ზრუნვა ლოგიკურია, ნაციონალ-რევოლუციონერები ხომ ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტილები არიან და შორს დგანან ჩვენი იდეურობის იდეებიდან.

ნოე III: ჩვენ სიცივიის ეროვნებათაშორისო საქმეების მინისტრს სტალეირანს ვეთანხმებით, როცა ის გვეუბნება, შეიძლება გვიბრძანებს კიდეც: სად გაგონილა თქვენი (ე. ი. ჩვენი სამშობლოს) დამოუკიდებლობაო! რატომ? იმიტომ, რომ სხვა ერებისათვის ცუდი მაგალითი იქნებაო.

ნოე VII: სწორია, უნდა შევერთდეთ, ძალა ერთობაშია!

ნოე IV: ბატონებო, წყალი იყინება!

ნოე II: ეს ოპოზიციის პროვოკაციაა, მათ უნდათ, რომ ჩვენი იდეები ადგილზე გაიყინონ. ბატონო ნოე პირველო, უბრძანეთ, რომ მთავრობა წყლიდან ამოვიდეს ისე, რომ უკანალი არ დაუსველდეს!

ნოე I: ბატონებო! მშრალზე გამოდით!

ყველანი წყლიდან ამოდიან და პირსახოცებში ეხვევიან.

სიცივიის ელჩი: თქვენ მცივანები ყოფილხართ, საჭიროა თქვენი წრთობა!

ნოე IV: რანაირად, როგორ?

სიცივიის ელჩი: ჩრდილოეთის კარი უნდა გახსნათ და ჩვენი ატმოსფერო შემოუშვათ, თქვენი მზე იქ კიდევაც ჩავა და კიდევაც ამოვა.

ნოე I: ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ ჩვენგან? ჯერ იყო და არ გვინდოდა მსოფლიო რევოლუციის გამთიშველი სამშობლოს თავისუფლება და თქვენიანმა გენერალ-გუბერნატორმა იარაღის ქვეშ, ძალადობით, ამაზე ოქმიცა გვაქვს შედგენილი, გამოგვაცხადებინა. ახლა კი გვაიძულებთ, თქვენებური პოლიტიკური ატმოსფერო შევუშვათ ჩვენთან. კი ბატონო, მაგრამ გაგვარკვიეთ, რის საფუძველზე?

სიცივიის ელჩი: აქ, თქვენს სამშობლოში მზადდება სიცივიის საწინააღმდეგო საზიზღარი აჯანყება!

ნოე II: ამის ლოგიკური დასაბუთება გაგაჩნიათ?

სიცივიის ელჩი: თქვენ გყავთ 64-ათასიანი არმია, რომელსაც ნაციონალისტი გენერალი მაზნიზე მეთაურობს. ამ გენერლის არმია არა მარტო ჩვენი რევოლუციისათვის არის საშიში, იგი თქვენც გემუქრებათ, მაგრამ თქვენ ვალდემარლიჩნი განსაცდელში არ ჩაგაგდებთ. მან თქვენდამი მტკიცე მხარდაჭერა ოსმანალას საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრის დროს ერთხელ კიდევ გამოთქვა: „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ რაიმე მიზეზი მოვძებნოთ, რომ სამშობლოს ტერიტორია სიცივიას შევუერთოთ". ამით კი თქვენ გადარჩებით ნაციონალიზმის ჭაობში დახრჩობისაგან!

ნოე VI (მიმართავს სიცივიის ელჩს): **64-ათასიანი არმიის საშიშროება როგორ უნდა განმუხტოთ? გთხოვთ პასუხის დროს გაითვალისწინოთ, რომ მე საფრანგეთში მაქვს დამთავრებული სამხედრო აკადემია!**

სიცივიის ელჩი: მე იმპერიოგრადის პირველი კლასიდან დემონსტრაციულად ვარ გამოსული და გიპასუხებთ: უნდა შეამციროთ!

ნოე II: ოსმანალას იმპერია რომ თავს დაგვესხმება?!

სიცივიის ელჩი: ჩვენ მასთან შეთანხმებული ვართ, მაგ საქმეს, დროის მოთხოვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ გავაკეთებთ.

ნოე III (საგარეო საქმეთა მინისტრი): **ჩვენ უნდა მოვემზადოთ!**

სიცივიის ელჩი: რისთვის?

ნოე I (გაოცებული): **რისთვის და დანებებისათვის, განიარაღებისათვის, რომ უაზროდ არ დაიღვაროს სისხლი და, როგორც სტალეირანი გვაფრთხილებს, თუ დიალექტიკურად არ მოვიქეცით, ჩვენი დამოუკიდებლობით ინტერნაციონალიზმს შოვინიზმში ჩავახრჩობთ!**

ნოეები (ერთხმად): **სწორია!**

ნოე III (საგარეო საქმეთა მინისტრი): **ჩვენ რომ ასე პარლამენტური გზით, თავისუფლად შევუერთდეთ სიცივიას, ჩვენი, ნაციონალიზმისაგან დაბრმავებული ერი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არ გვაპატიებს, იგი მაინც ჩვენი ერია, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენ მხსნელებს ჩავბარდით!**

ნოე I: ეს უბრალო სიტყვა არ არის, იგი დიპლომატიის ხელოვნების უნიკალური ნიმუშია და ამიტომ საჭიროა მოფიქრება!

სიცივიის ელჩი: მოფიქრებისათვის რამდენი დაგჭირდებათ? მტკიცედ მითხარით ბოლო ვადა!

ნოე I (გადახედავს ნოეებს): **25 თებერვალი! ოღონდ ნორმალურად რომ მოვემზადოთ და ვიმუშაოთ, საჭიროა თავდაუსხმელობის გარანტია!**

სიცივიის ელჩი: დღეს 7 მაისია, დაწერეთ ოქმი: ხელშეკრულებით, თქვენ ჩვენ, სიცივიას თავს არ დაგვესხმებით!..

ნოე I (დაბნეული): **თქვენ?**

სიცივიის ელჩი (მკაცრად): **ჩვენ თავს არ დაგესხმებით, ჩვენ მხოლოდ თქვენს სამშობლოს ერთა ძმობის სიყვარულით ვიპყრობთ!**

ნოეები (სიმღერით): **ვაშა, ურა, მრავალჟამიერ! არმიასაც ვაუქმებთ! გვარდიას ჩვენი დიდება!**

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

„ნიანგის“ სალაღობო მილოცვა



ბურნათელ-გულნათელ გივი ძნელაძეს

ერგასი ჩამოათავე, ახლა ჩამოდგა სამოცი,
მაგრამ არ გამოგიცვლია ახალგაზრდული სამოსი
კაცს, მართლა კაცურს, კაცობით ასგზის ნაკურთხს და
დალოცვილს!
ბილწთ არ შეჰკვრიხარ არასდროს, არ გიწერია
„დანოსი“!..
ემაგ კაცობით გეცხოვროს, ემაგ მზიანი ტაროსით,
მოყვასთა ტვირთის მზიდავო, ტვირთისა სატიტანოსი!
შენს ხელში ვარდიც ივარდებს, სიტყვაც იხარებს,
ივაზებს!
სასტიკი აზრის ყოფილხარ ღვინო-კონიაკ-„პივაზე“,
თუ ძმა ხარ, არ თქვა უარი საჩუქრად მოძღვნილ
„ნივაზეც“!
შენი მოყვასი მრავლდება ამ ერისა თუ იმ ერის,
სიდინჯით ქართლელს მაგონებ, ძირი კი გიდგას იმერის!
(ყალბი სიტყვების ქადაგთა რომ არა სწამს რა,
კი ვიცი;
თავად ნებას თუ არ დაგრთავს, ქებაც ძნელია გივისი!)
როცა კი გაზაფხულდება, კვალს გაუყვება ურნატი,*
ბურნათი მოგენატრება, ი დალოცვილი ბურნათი! —
იქ ხომ ცელ-ნამგალ-სახნისით სათიბ-სახნავში
ბრუნავდი!..
ახლა ჩვენთან ხარ, მრავლად გაქვს აქაც საკაფი
უღრანი,
შენი დანახვა გვწყურია, გულს შენთან მოსვლა უხარის!
უნჯი მოყმე ხარ „საუნჯის“ და მოიმედე მუხრანის!..
სულ ენთოს, სულ იგიზგიზოს, გვათბობდეს თქვენი
ბუხარი!..
თუმც მეუფობა ძნელია, სადაც მუხრანის ტახტია,
მაგრამ ძმობა და თანდგომა თქვენი ისეთი ნაღდია, —
უფროს-უმცროსის მუნდირებს აქ არასოდეს იცვლიან
(ეჰ, ნეტა ბევრგან სხვაგანაც ამგვარად იყოს, ბიძია!).
ლექსის ტევრს დინჯის ნაბიჯით კაფავდე უღრანისახა!..
იყავ, გვიწერე!.. რა გიჭირს? — ტახტსა ჰზი მუხრანისახა!

ირაკლი არაბული
1988 წ.

* ურნატი — მეკვლის ჩიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურისძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს და ბოლოს, თავზე ხომ არ უნდა დავისვათ ეს ცაცი?! — გაიფიქრა ბატონმა გიგამ, როცა მოახსენეს, ისევ მოვიდაო. — ბინა მივეცით, მანქანა გამოვუყავით, სტადიონის აბონემენტი საუკეთესო შევურჩიეთ. ახლა წიგნი გამოუცია და მაინცადამაინც პირადად უნდა გადავცეო, უთქვამს მდივნისათვის. ცხადია, რაღაც ახალი სათხოვარიც უნდა მოაყოლოს! ღმერთო, რა შეგცოდე ამის ფასი?! — ამ ფიქრებში იყო გართული ბატონი გიგა, მდივანს კი მექანიკურად გასძახა, შემოვიდესო!

... მცირეფორმატიან წიგნზე იმოდენა წარწერა გაეკეთებინა, მეორე გვერდზეც გადასულიყო.

არა, ამ კაცს თუ ჭკუა არ ვასწავლე, ველარ მოვიშორებ! — მტკიცედ გადაწყვიტა ბატონმა გიგამ და ამ გაუთავებელი წარწერის წაკითხვას მხოლოდ იმიტომ შეუდგა, რომ ეგებ რამე მოვიფიქროო. არაფერი საიმედო არ ჩანდა. იუმორით სცადა:

— რა ხართ ეს პოეტები! ნიკო ნიკოლაძისათვის რომ შეგედარებინე, კიდევ — ჰო, ეგებ რაიმე მეც გავაკეთო ჩემი ქალაქისათვის, მაგრამ დავით აღმაშენებელთან შედარებით, მე მგონი, ცოტა გადააჭარბე!..

— როგორ გეკადრებათ, ბატონო გიგა! თქვენ ისე ააშენეთ და დაამშვენეთ ჩვენი ქალაქი, თქვენ ისე... თქვენ ისეთი... თქვენ იმდენი...

ბატონი გიგა უმწეოდ ათამაშებდა ხელში წიგნს და გამოსავალზე ფიქრობდა.

უცებ, როცა წიგნის ფასს დახედა, გონება გაუნათდა.

— აუ! ეს რა გიქნია, კაცო?! — შესძახა ბატონმა გიგამ.

— ?!

— საერთო რვეული 45 კაპიკად იყიდება, შენ კი რა დაწერე ისეთი, რომ მთელი შენი წიგნი 8 კაპიკი ღირს?!

ეს იყო და ეს. აბეზარი სტუმარი ამის შემდეგ აღმასკომს აღარ გაჰკარებია.

გოგია წარგა



უსიტყვოდ

ᲣᲮᲝᲣᲚᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება ჩიკაგოს უნივერსალური მაღაზიის შესასვლელთან: **„საჩივრები მიიღება 23-ე სართულზე. ლიფტი არ მუშაობს. გთხოვთ ისარგებლოთ კიბით!“**

სამშენებლო-სარემონტო ბრიგადის პრაქტიკანტმა მიიღო დავალება, შეეღება დირექტორის ოთახის ფანჯრები. ერთი საათის შემდეგ იგი ურეკავს შეფს და მოახსენებს:

— ფანჯრები შეღებილია! ჩარჩოებიც შევღებო?

— უკაცრავად, მამათქვენი მარტო იყო, როდესაც გარდაიცვალა?

— არა, ექიმიც იქვე გახლდათ!

— მითხარით, თუ შეიძლება, რატომ ჰქვია ამ კერძს ასეთი საშინელი სახელი — **„ყაჩაღი რაგუ?“** — ეკითხება ახალგაზრდა ვაჟი ოფიციანტს.

— ამას მაშინ გაიგებთ, როცა ანგარიშს მოგართმევთ!

პროფესორი: — დაასახელეთ ორი ნაცვალსახელი!

სტუდენტი: — ვინ, მე?

სერჟანტი: — რიგითო სმიტ, გაიპარსეთ წვერი დღეს დილით?

— დიახ, სერ!

— შემდეგში გაითვალისწინეთ, რომ პარსვის დროს საპარსი სახესთან ცოტა ახლოს უნდა მიიტანოთ!

პატიმარმა წერილი მიიღო ცოლისაგან.

— რას გწერს? — ეკითხება მეზობელი მეორე კამერიდან.

— ჩემი ბიჭუნა მეორე კლასში ჩარჩენილა!.. რამხელა თავის მოჭრაა ოჯახისათვის?!

შეყვარებული წყვილი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა.

— აი იქ მარსია? — იკითხა ქალიშვილმა.

— არა, ეს ვენერაა.

— დაუჯერებელია!.. როგორ შეგიძლია ამ სიშორეზე გაარჩიო ასეთი წვრილმანი?

— მომეცით, გეთაყვა, ხველების წამალი ჩემი ვაჟიშვილისათვის!

— ნუთუ ის ერთი ბოთლი სულ დალია?

— არა, მაგრამ მან რომ ერთი კოვზი მიიღოს, ამისათვის დალევა გვიწევს მე, ჩემს მეუღლეს, ბებიას, ბაბუას, დეიდას და, საერთოდ, ყველა მეზობელს, ვინც კი ჩვენს სართულზე ცხოვრობს!..

— ჯონ! — ეუბნება ცოლი, — მინდოდა შენთან მოლაპარაკება ბევრ რამეზე!..

— კარგი! — მძიმედ ამოიოხრა ქმარმა. — როგორც ჩანს, გინდა მომელაპარაკო იმ ნივთებზე, რომლებიც შენ არ გაგაჩნია!

ცოლი: — მე დამავალეს დამეწერა რეკომენდაცია ჩვენს ყოფილ მოსამსახურეზე. დავწერე, რომ ის არაპუნქტუალური და თავხედია. კიდევ რა დავწერო მის სასარგებლოდ?

ქმარი: — შეგიძლია დაუმატო, რომ აქვს შესანიშნავი გემოვნება და სიგიჟემდე უყვარს ძილი!

— ჩემი ქალიშვილი მღერის, უკრავს, ხატავს, ერკვევა ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, ლაპარაკობს ფრანგულად და, საერთოდ, განათლებული გოგონაა. თქვენ რა შეგიძლიათ?

სანიძრ: — მე შემიძლია საჭმლის მომზადება და წინდის დაკემსვა.

ახალგაზრდა გოგონას, რომელიც გამოცდებს აბარებდა ავტომანქანის მართვის მოწმობის ასაღებად, გამომცდელი ეკითხება:

— რას ნიშნავს ეს თეთრი ხაზი, რომელიც გზის შუაგულშია?

გოგონა დაიბნა და უპასუხა: — ალბათ... ეს გზა ველოსიპედისტებისთვისაა!

(ჟურნალ „კროკოდილიდან“ თარგმნა
მანანა ჩოკოშვილმა



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ნახ. გ. ლომიძისა

7-89
89-526



— ბიძიკო, ომთან დაკავშირებით რაიმე სამსახურს ხომ არ გამომიძებნით?
— არა, ბაბუა, რა დროს ომია, მშენებლობაზე უნდა წახვიდეთ!

ერთიანი ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 16 (1794) აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 24. 07. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 08. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1747 უე 04686. ტირაჟი 130100. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187